ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 19 აგვისტო № 1557

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი· **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.**

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. და გიორგის გუჩის კუთხე. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 67.** (ნ. 0—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფელდორფი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ·)

ქალების პროგიმნაზია
ელენე ბახტაძისა
დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—**ელენე ბახტაძის** სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (5—3)

საქციონერო საზოგადოების ფაბრიკის საწერ-ქაღალდის საწყობი
გ. ი. პალლიზენისა
20 აგვისტოდან გადადის ახალს სადგომში, გოლოვინის პროსპექტზე, ტფილისის სობრანიის ქვეშ, თავ. მუხრანსკისეულ მანთაშევის სახლში. (5—1)

სკოლა და პანსიონი
ვ. მამულაიშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—1)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმეების გამო

მოვიდა სრული ტექსტი მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის შესახებ. უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება ამბობს: 1) ნება მიეცეს ფინანსთა მინისტრს თავის შეხედულებით ეხლავ დანიშნოს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ნაცვლად ახლანდელის თავმჯდომარისა, რომელიც რწმუნებულთა კრების მიერ არის არჩეული და რომელსაც ჯერ სამსახურის ვადა არ დაუსრულებია; დანიშნულს თავმჯდომარეს ბანკის საშუალებიდან მიეცეს ჯამაგირად 5000 მანეთამდე წელიწადში. 2) ახლად დანიშნულს თავმჯდომარეს, გარდა ბანკის წესდებით მინიჭებულ უფლებათა, მიეცეს კიდევ შემდეგი განსაკუთრებული უფლებანი: ა) ბანკში დაგირავებულ მამულებზე დროზედ შეუტანელის გადასახადის წარდგენა გაუნაწილოს მხესხებელთ 5 წლით; ბ) გაანაწილოს 5 წლით იმ მამულების გაყიდვა, რომელნიც ბანკს დარჩა საჯარო ვაჭრობის შემდეგ; გ) გააუქმოს ან შესცვალოს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ-კომიტეტის ის დადგენილებანი, რომელთაც ბანკისათვის უსარგებლოდ იცნობს და მათ მაგიერ მოახდინოს ახალი დადგენილება-განკარგულებანი; დ) როდესაც საჭიროდ დაინახავს, მოიწვიოს რწმუნებულთა საგანგებო კრებები, რომლებსაც განსახილველად წარუდგინოს თავისი მოსაზრებანი და წინადადებანი· კრებას თვით უნდა თავმჯდომარეობდეს; მასვე ნება აქვს აღძრას საკითხები ბანკის წესდების მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ. 3) ეს წესები დროებითია; მათი მოქმედების დასრულება, ესე იგი, თავმჯდომარის არჩევის უფლება წესდებისამებრ დაუბრუნდება საზოგადო კრებას მაშინ, როდესაც ამას ფინანსთა მინისტრი და კავკასიის მთავარმართებელი სცნობენ შესაძლებლად.

ამგვარად, როგორც მკითხველიც ჰხედავს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წესდებაში მეტად საყურადღებო ცვლილება მოუხდენიათ: ბანკის წევრთ ჩამოეხადა უფლება ბანკის გამგის არჩევისა და დანიშნულს გამგეს განსაკუთრებული უფლებანი მიენიჭა. ამით ბანკს თვითმმართველობის ასპარეზი უმცირდება და დიდი უფლება ეძლევა უმაღლეს ადმინისტრაციის მიერ დანიშნულს მოხელეს.

ჩვენს გაზეთში უკვე აღინიშნა ამ ახალის განკარგულების მნიშვნელობ.*) ბან-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1547.

ფელეტონი

ცხოვრება და ხელოვნება

შ. არაგვისპირელი. „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ („მოამბე“ № III) და ეკ. გაბაშვილი. „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“ (იქვე № IV).

მეტად დიდი განსხვავებაა ქ-ბ-ნ ეკ. გაბაშვილისა და ბ-ნ შ. არაგვისპირელის ნიჭში, ნიჭის მიმართულებასა, ხასიათსა და თვისებაში. ეს ასეა, მაგრამ მაინც ფრანგული ანდაზა მართლდება, les èxtremités se touchent ბ. არაგვისპირელის ნიჭი მკაცრია, სევდით აღსავსე, უსასო და უნდო. ეკ. გაბაშვილი კი აღტაცებული მორწმუნეა, იმედებით აღვსილი, კაცის სულისა და მოქმედების გაუმჯობესობისა და გამშვენიერების შესაძლებლობის მქადაგებელი. ბ. შიო არაგვისპირელი რაღაც დემონიურ სიამოვნებასა ჰპოებს იმაში, რომ ყოველ მოვლენას მოუნახოს ნაკი, ყოველივე კაცის მისწრაფებისა და ლტოლვის ძირში სიმწარე და შხამი აღმოაჩინოს. ქ. ეკ. გაბაშვილისა კი, წინააღმდეგ, ნიადაგ იმის ძიებაშია და განმტკიცებაში, რომ კაცს, რაც უნდა პირუტყვი იყოს, მაინც ღვთის სული აქვს ჩაბერვილი და ადრე იქმნება თუ გვიან თავისის ბუნების ღვთაებრიობას გამოიჩენს. ქ. ეკ. გაბაშვილისა ყოველ მოვლენასა და ყოველ საგანში საიმედოსა და სანეტაროს პოულობს და ნუგეშსა სცემს თავისს თავსაც და მკითხველსაც.

ეს სულ ყველაფერი ასეა, მაგრამ ხანდისხან ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა თავისის სიმკაცრით ბ. არაგვისპირელსაც კი გადააჭარბებს და უსათუოდ არა ცოტა სიამოვნებას აყენებს ბ. არაგვისპირელს, რომ მისის აზრის დამამტკიცებელ სურათებს გვაძლევს ხოლმე. ბ. არაგვისპირელი, როგორც მწერალი, ისე როგორც ეკ. გაბაშვილისა გრძნობს ცხოვრების სიმწვავეს, ცხოვრების უმსგავსებას და ეს იმდენად უწამლავს გონებასა და აზრს, რომ არ შეუძლია წარმოიდგინოს და დაიჯეროს, რომ ეს მიწიერი ცხოვრება რამე საიმედოს იძლეოდეს. ულმობელის ანალიზით დახსნის ხოლმე ის ყოველივე მოვლენას, რაც უნდა წარმტაცი იყოს ეს მოვლენა, და ნათლად დაგვანახვებსთ ამ მოვლენის არსებით გახრწნილებას. იგი კბილის ღრჭენით იხსენიებს ყოველივე მოვლენას დღეინდელის ცხოვრებისას და თუ ხანდისხან იმას გაგრძნობინებს, რომ თითქო უხარიაო ასეთის უცნაურის შემთხვევების გამოძებნა, თანაც არ შეიძლება არ შეიმცნოთ ის, რომ ავტორი სულითა და გულით იტანჯება, კვნესის და გოდებს, რომ ვერ ჰხედავს განხორციელებას იმ იდეებისა და გინდ იდეალებისას, რომელიც ვიღაც ჯადოქარმა ჩაუნერგა თავში, თუ გულში. მას სწამს, რომ კაცთა შორის დამოკიდებულება უნდა იყოს წმინდა და ფაქიზი და ამის ნაცვლად დღე ნიადაგ ჰხედავს, რომ ბუნება ადამიანს ისე ექცევა, როგორც გულ-გრილი და გულ-ქვა დედინაცვალი; მასა ჰგონია, რომ საზოგადოება თავისს შვილს—ადამიანს, უნდა აღმოუჩენდეს ნიადაგ მფარველობას, სიყვარულს და მშობლიურ მზრუნველობას, ნამდვილად კი სულ სხვას ამჩნევს: საზოგადოება სდევნის და ჯვარს აცმევს თავისს საუკეთესო შვილებს. ეს ყოველივე მის გულს დაუსრულებელ განსაცდელში აგდებს, სამუდამო უსასოებითა და ვარამით ავსებს და ის მკაცრად და ულმობელად ებრძვის ყოველივე მოვლენას, რომელიც მისის წმინდა შეხედულების დამრღვევია და შემაგინებელი, და ამიტომ არის, რომ ბ. არაგვისპირელი ასეთის სისასტიკით სტუქსავს სიყვარულის შემბღალველს, მეგობრობის შემაგინებელს, პირადობის შემლახველს და სხვ.

მართალია, ბ. არაგვისპირელი თავისის მოთხრობებით იმნაირ ცხოვრების სურათებს გვიხატავს, სადაც მხოლოდ შური და მტრობაა, მძულვარება და ღალატი, დაუნდობლობა და უგულობა, მაგრამ იმას ეს კანონიერ მოვლენად არ მიაჩნია, მას სხვა სურს, სხვას ელტვის და როცა ეს სხვა, ეს მისი იდეალური წარმოდგენა არ პოულობს განხორციელებას გარყვნილ წუთი-სოფელში, წყევლა კრულვით იხსენიებს ამ ცხოვრებას.

ქ ნ ეკ. გაბაშვილისას კი კეთილი არა თუ მიუცილებლად მიაჩნია ცხოვრებაში, მისის აზრით, ეს კეთილი უკვე განხორციელებულია ზოგში და ზოგში კიდევ მეტი განვითარება მოელის. ამიტომაც, როცა მისის აზრისგანვე განხორციელებულად მიჩნეული კეთილის გვერდით უკეთურს ჰხედავს, რომელიც ამ სიკეთეს ჩრდილს აყენებს და ხელს უშლის, არა ნაკლებ სიმკაცრესა და სისასტიკეს იჩენს, ვიდრე ბ. არაგვისპირელი. როცა ბ-ნი არაგვისპირელი ცხოვრების უმსგავსო მოვლენას გვიხატავს, მას თითქო კიდევაც უხარია ერთის მხრით, რომ მისი აზრი მტკიცდება და ცხოვრებაში, ამ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში არაფერია ხეირიანი, და იგი მაშინ საზოგადოდ მთელის ცხოვრების წინაშე გამოდის ამხედრებული. ხოლო, როცა ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა დაინახავს ცხოვრებაში ცუდს რასმე, ეს მას აბრაზებს, მოთმინებიდან გამოიყვანს ხოლმე, რადგან იგი არღვევს მის წმინდა, ოპტიმისტიურ შეხედულებას ცხოვრებაზედ და იგი მთელის ცხოვრების მაწყევარი მაინც არ არის, არამედ იმ მოვლენას უთავაზებს მთელის თავისის გატაცებულის არსების ზიზღსა და აღშფოთებას, რომელმაც შეიტანა დისონანსი მისს ჰარმონიულ წარმოდგენაზედ ცხოვრებაში. ბ. არაგვისპირელისათვის ესა თუ ის გულის ამრევი ფაქტი ერთი მრავალ სურათთაგანია ბიწიერის ცხოვრებისა, ქ-ნი ეკ. გაბაშვილისთვის ესა თუ ის საზიზღარი მოვლენა ცხოვრების მშვენიერის და მწყობრის მიმდინარეობის ამრევ-დამრევია და ამიტომაც დასაგმობი. პირველი მთლად მთელს დღევანდელს ცხოვრებას ეკიდება სასტიკისა და მკაცრის უარის ჰყოფით, მეორე მხოლოდ იმ მოვლენას უცხადებს დაუძინებელ მტრობას, რომელიც ცხოვრების დიად სურათს ასახიჩრებს

გადაიკითხეთ ზემოხსენებული მოთხრობები ამ მწერლებისა და დაინახავთ, რომ ჩვენ მართალი ვართ, როცა ასეთნაირად ვახასიათებთ ორის მწერლის ნიჭის განსხვავებას.

„ჩემი სამშობლო ჩემი გულია“—ამ მოთხრობამ უცნაური შთაბეჭდილება გამოიწვია ზოგიერთში. ეს მოთხრობა აღიარეს

კის საქმეების აწეწილ მდგომარეობამ გამოიწვია ეს განსაკუთრებული განკარგულება, მაგრამ ის ეჭვს გარეშეა, რომ ბანკი მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული და მისი მომავალი უზრუნველყოფილია. თუ დანიშნული თავმჯდომარე მცოდნე და ენერგიული ფინანსისტი გამოდგა და თუ საზოგადო კრება მას დახმარებას აღმოუჩენს, ბანკის საქმეები დალაგდება, ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და განვითარების გზასაც დაადგება, ეს ცხადია იმიტომ, რომ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკს ფართო ასპარეზი აქვს კიდევ სამოქმედოდ. ქუთაისის გუბერნიაში ჯერ კიდევ ბევრია დაუგირავებელი მამული, ხოლო კრედიტის მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება და, თუ ბანკი მხნედ იქმნა, მას შეუძლია საგრძნობლად გააფართოვოს თვისი ოპერაციები. ათი წლის აურ-ზაურმა, ათი წლის არეულობამ, რასაკვირველია, დიდი ვნება მისცა ბანკს, დიდად გაუტეხა მას სახელი და ნდობა, მაგრამ ყოველივე ამის დაბრუნება შეიძლება. ბანკი რიგიან გარეშე გარემოებებში მუშაობს და არ გაუჭირდება გასწორდეს და მოწესრიგდეს. ვიმეორებთ, ამას არა უშავს-რა, მაგრამ სამწუხაროა, დიდად სამწუხაროა, რომ ბანკის მოკლე ისტორიამ ასეთი სასტიკი გაკვეთილი მოგვცა

რას გვეუბნება ეს ისტორია? ის გვიმტკიცებს ჩვენის საზოგადოების უძლურებას. ხელთ გვქონდა კარგი და მასთან ადვილი საქმე; ჩვენ შეგვეძლო ჩვენ მიერვე არჩეულის გზით წაგვეყვანა ახალი დაწესებულება, სასურველი მიმართულება მიგვეცა მისთვის; არავინ არ გვიშლიდა; პირიქით, გარემოებაც და მონიჭებული უფლებაც ხელს გვიწყობდა. მაგრამ საზოგადოებამ ვერ ისარგებლა თვით-მმართველობით, ვერ ისარგებლა მოხერხებულ გარემოებით და დაჰლუპა თავისი უფლება უპირატესობა. მართალია, მეტად ძნელია ებრძოლო ალვირწაშვებულ ვაჟბატონთ, რომელთაც საზოგადო საქმე არაფრად მიაჩნიათ და რომელნიც კერძო სარგებლობის მისაღწევად არაფერს არ ზოგავენ, მაგრამ იმ ბრალს საზოგადოება ვერ აიცდენს თავიდან, რომ ამ გვარ ვაჟ-ბატონთ თვითვე უმზადებს ნიადაგს და თავისავე შეცდომებითა და დაუდევრობით საშუალებას აძლევს მათ ხელში ჩაიგდონ და სთელონ საზოგადო საქმე...

ეხლა დრო არ არის დაწვრილებით იმის განხილვისა, თუ როგორ და რა შეცდომების მეოხებით გაუკაფა იმერეთის საზოგადოებამ გზა კალ. ჩაკვაიძეს და მის მომხრეთ; ეხლა ბევრისთვის ისედაც ცხადია უმთავრესი მიზეზები და ცხადია სასტიკი მაგალითიც, რომელიც ბანკის საქმეთა მიმდინარეობამ მოგვცა. იმ იმედს მაინც ნუ დავკარგავთ, რომ ეს მაგალითი უმნიშვნელოდ არ ჩაივლის იმერეთისათვის და შემდეგისათვის გამოადგება.

ამ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატება.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

17 აგვისტო

ხარკოვი. მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მართველობაში, საბჭოში და სარევიზიო კომისიაში ახალი წევრები ამოირჩიეს.

შემოდგომის წვიმებია. ტემპერატურამ დაიწია.

კონსტანტინეპოლი. გუშინ საზოგადო მუშაობის მინისტრმა გაუგზავნა ანატოლიის რკინის გზის საზოგადოებას სულთანის ბძანებით დამტკიცებული ხაიდერ-ფაშის ნავთ-სადგურის საზოგადოების წესდება.

კონსტანტინეპოლი თუმცა გარეშე საქმეთა მინისტრმა შეატყობინა 11 აგვისტოს საფრანგეთის ელჩს, რომ ხონთქრის ბძანება, რომლის ძალით დოკების საზოგადოებას უბრუნდება უფლება, უკვე გამოქვეყნებულია და თუმცა, ამის მიხედვით, კონსტანმა თავისი კმაყოფილება გამოაცხადა, მხოლოდ გუშინ საღამომდე ეს ხონთქრის ბძანება პორტაში ჯერ კიდევ არ მოსულა.

ქრისტიანია. „მორგენბლადენტ“-ს სწერენ გამერფესტიდამ, რომ გემ „ფრიტიუფის“ კაპიტანმა, რომელიც დაბრუნდა ფრანციოსების მიწიდამ, ბალდვინისაგან და „ერმაკისაგან“ მოიტანა ბევრი წერილები. სამი კვირის წინ კაპიტანს ადმირალ მაკაროვთან ჰქონდა საუბარი. «ერმაკი» ამაოდ სცდილობდა გაეპო ყინული. ადმირალის აზრით, ეგ შეუძლებელიცაა. ასე, რომ იძულებული იყო გარს შემოევლო, რათა ახალ ბინიდამ მისულიყო ფრანც-იოსების ბინასთან და ენახა ბალდვინი.

კიევი. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში საკონკურსო ეგზამენები დაიწყეს. ეგზამენს იჭერს 750 კაცი, მათში 41 ებრაელია. უნივერსიტეტში შედის 665 ყმაწვილი კაცი, მათში 160 ებრაელი.

აცივდა. წვიმს. დილით 8 გრადუსია. შამოდგომის დარია.

მოსკოვი. მოსკოვორეცკის წყლის მილის გასაკეთებლად მიეცა თოთხმეტი მილიონის სესხი. ამ ფულის ხარჯვა გუბერნატორის, სახაზინო პალატის უფროსის და სახელმწიფო კონტროლერის ნება-დაურთავად შეუძლებელია.—ქალაქის საქველმოქმედო საბჭოსთან დაარსებულმა კომისიამ განკერძოვებული განყოფილება დააარსა გარყვნილ და ავადმყოფ ყმაწვილების შესაფარად. ამ ყმაწვილების შესახებ ცნობებს ჰკრეფს ქალაქის თავი.

მოსკოვი. მთავრობის კომისიამ დაათვალიერა კუსტარევო-ზემეტჩინის რკინის გზის ლიანდაგი, რომელიც მოსკოვ-ყაზანის სიზრანო-ვიაზემსკის და ტიმირიაზოვო-არზამასის გზებს უერთდება. კომისიას ჰსურს ყაზანის გზა ნიჟნი-ნოვგოროდს შეუერთოს და ჰსურს ორივე გზაზე წესიერი მისვლა-მოსვლა გამართოს. არზამასის და ნიჟნი-ნოვგოროდის შუა ამ წელს იქნება დამთავრებული გზა.

მოსკოვი. დღეს მოსკოვის მაზრის საერობო სკოლების მასწავლებლები და მასწავლებელ ქალების კრება გაიხსნა. კრებას 200 კაცი დაესწრო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, თავიანთ უავგუსტოესის ქალებით 17 აგვისტოს ზღვით წავიდნენ დანიაში.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს ირლანდიელ დეპუტატთა რიცხვი შეამციროს. ამას წინად უნიონისტებმა რომ ბლენჰეიმის ციხე-დარბაზში ნადიმი გამართეს, ჩემბერლენიც და ბალფურიც ლაპარაკის დროს დაემუქრნენ ირლანდიელებს, მოითმინეთ, მალე აგლაგმავთო, დეპუტატების რიცხვს შეგიმოკლებთ და მაშინ ცოტა ჯრ იყოს ხმას ჩაჭკმუნდავთო. ეს მუქარა ეხლა უნიონისტებს ძალან მოსწონებიათ. ასე, წარსულ კვირას უინსტონ ჩერჩილს სკარბოროში ამ საქმის თაობაზე ულაპარაკნია და გამოუცხადებია: პარლამენტში ირლანდიას მეტი წარმომადგენელი ჰყავს, ვიდრე მცხოვრებლების რიცხვის დაგვარად ეკუთვნისო; ირლანდიელ დეპუტატების რიცხვს მეოთხედი მაინც უნდა მოაკლდესო. ჩერჩილზე ერთის კვირის წინად კონსერვატორმა დეპუტატმა კიმბერმაც ამ ნაირივე აზრი გამოსთქვა. კიმბერმა დასწერა გაზ. «ტაიმს»-ში: «კანონის ძალით 10,183 ამომრჩეველი 1 დეპუტატს უნდა ირჩევდეს. ეს კანონი რომ მტკიცედ ავასრულოთ, მაშინ 103 ირლანდიელ დეპუტატს 31 მოაკლდება.» კარგი ისაა, რომ სე ვაჟბატონები მარტო ირლანდიას აცეცებენ თვალსა, მთელს ბრიტანიის სამეფოში 48 ოლქი იქნება, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია. ამისთანა ოლქი ირლანდიაში მარტო 9-აა და თითონ ინგლისში კი 26-ა; ამ 26 ოლქიდან 19 ყოველთვის მთავრობის მომხრე დეპუტატს ირჩევს. ამიტომაც უნიონისტები ინგლისის საარჩევნო ოლქებზე ხმასაც არ იღებენ.

გერმანია. «პარი ნუველ»-ს სწერენ ბერლინიდან: ამ დღეს ვილჰელმსგეეში, სადაც ამ ჟამად იმპერატორი იმყოფება, ამ ნაირი უცნაური ამბავი მოხდაო. იმპერატორის სასახლესთან დარაჯი ჯარის-კაცი მდგარა, ვიღაც კაცი მოსულიყო და ამ დარაჯს დასცემოდა. ჯარისკაცს თოფი ესროლა, მაგრამ ვერ მოეხვედრებინა. ძალან ეძებენო ამ ბოროტ-განმზრახველს, მაგრამ დღემდე ვერ უპოვნიათ.

✿ გაზ. «მიუნხ. ნაჲ. ნაზრ.»-ს უანგარიშნია რა დაჯდება გერმანიის ჯარის შენახვა, თუ ვინიცობაა ახალი სადამოჟნო ტარიფი დამტკიცდაო. ანგარიშით გამოდის თურმე, ახალი ტარიფი რომ დამტკიცდეს, გერმანიის ჯარის შენახვას 8½ მილიონზე მეტი მარკა დასჭირდება წელიწადში.

ამ ხარჯს თითონ მთავრობა და შებატონები ხომ არ გადიხდიან. ხალხის კისრიდან უნდ

ბ. არაგვისპირელის გარდამეტებულის ნატურალიზმის ტრფიალის ნაყოფად. მკითხველი საზოგადოება მეტის მეტი ნაწყენი დარჩა, რომ ბ. არაგვისპირელმა ახალგაზრდა, კეკლუც და მშვენიერს ქართველ ქალის თვალებში „პირუტყვი“ აღმოაჩინა და პირველსა და უკანასკნელ ბრალდებას ამაზე აფუძნებდა. ამ გაჯავრებამ საზოგადოებას თვალები დაუბრმავა და ვერ დაანახა, თუ რა ღრმა ფსიხოლოგიის ნაქვთია ეს ადგილი და რა დიდის ზნეობრივის აზრით არის აღსავსე. მართლაც, ბ. არაგვისპირელმა ამ სურათით დიდსა და მაღალს საფეხურზე დააყენა სიყვარული და გრძნობათა მიმდინარეობის ძირშიაც ღრმად ჩაიხედა. ახალგაზრდა კაცს მოსწონს ახალგაზრდა ქალი. არა თუ მოსწონს, უყვარს, თაყვანსა სცემს; და როგორც ყოველივე ღრმასა და დიდს გრძნობასა სჭირს, საყვარელის ქალის არსებისაკენ რაღაც საიდუმლო იზიდავს. მისი ფიქრია „ამოიკითხოს ქალის თვალის სიღრმიდან ყოველივე საიდუმლო“. დაუდგა მიჯნურს ბედნიერი დღეც, საყვარელ არსებას პაემანი დაუნიშნა. ყოვლის მომხიბლავ მთვარიან ღამეში ეტლით მოგზაურობენ. მიჯნურნი აღტაცებულნი არიან: «მარომ თავი ჩემკენ მოიდრიკა—გვიამბობს ვაჟი, და ისეთის თვალით შემომხედა, რომ მეტი აღარა მინდოდა-რა. მისი თვალები სიღრმე სიგანით დავინახე. ეხლა ყოველივე ცხადი იყო ჩემთვის. მხოლოდ გულის თქმას ავსებდა მისი არსება და სხვას ადგილი აღარა ჰქონდა. ყოველიფერს დაჭკმობდა, ოღონდ გულის-თქმისთვის გზა მიეცა. მის თვალებში პირუტყვი დაცურავდა». შემდეგ განაგრძობს: „საკვირველია, იმ წამსვე, რა წამსაც მარო ჩემთვის ცხადი შეიქმნა, უეცრად ცივი წყალი გადამესხა და გამოვფხიზლდი, გამოვერკვიე. სად გაჰქრა ჩემი აღტაცება, აღფრთოვანება ასე უეცრად?! რად გამაგრდა ჩემი მთრთოლვარე სხეული? ასე უეცრივ მჩქეფარე გულმა დონეზე ცემა რად დამიწყო“. მიჯნური ვაჟი ბევრს ჩააშტერდა თვალებში, „იქნებ პირუტყვი სადმე გაჰქრაო, მაგრამ ამაოდ, ისევ იქ ცურავდა...“ ერთ წამსაც არ გაშორებია მის თვალებს პირუტყვი“.

ეს სურათი ამტკიცებს სავსებით იმას, რომ ბ. არაგვისპირელმა იცის ცხოვრების მოვლენის დაკვირვება, შეგნება; ადამიანი, რომელიც წმიდა და აღტაცებულის სიყვარულით არის აღვსილი, ყოველივე პირუტყვულს ზურგს აქცევს, მისთვის საყვარელი არსება რაღაც ჰაეროვანი რამ არის, უცნაურის საიდუმლოებითა და გულ-უბრყვილობით მოცული; რაღაც ნაირი ქმნილებაა, წყნარი, მშვიდი, ცხოვრებაში გამოუცდელი, ცხოვრების ტალღებისაგან არ შელახული და არ გასვრილი. მთელი მისი გრძნობა საყვარელი არსების საიდუმლოებისა და გამოუცნობელობით იკვებება და ამ დროს ეს ქმნილება, პირუტყვულის ჟინითა და გულის თქმით გონება აბნეული, ეხვევა და ეალერსება მას. ამ გვარი კავშირი საყვარელ არსებასთან ყოვლად შეუძლებელია, ეგ ყოვლად სწრაფ-წარმავალი, წუთის ეშხისაგან გამოწვეული გრძნობა სხვა გვარ დამოკიდებულებას ახლავს თან. მართალია, საყვარელი არსებაც ძალა-უნებურად ემორჩილება ბუნებრივ კანონს, მართალია, ამ ბუნებრივის კანონის სურვილის აღსრულებაში არაფერია დასაგმობი და გასაკიცხი... მაგრამ ეგ ფატალურად, თავის-თავად, თავისს დროზე უნდა მოდიოდეს. ხოლო ვაი, იმ სატრფოს, რომელიც თავს ვერ იკავებს გიჟურს გულის თქმაში და ყოველ წუთში მარტო ამ პირუტყვობას სდევს. ის იწვევს მოტრფიალეში ზიზღს, სასოწარკვეთილებას, შიშით ავსებს მისს არსებას, ამ ყოვლად გამოცდილის, ცხოვრების ღელვაში გაბრძმედებულის ადამიანის მიმართ, რომელიც არ არის ღირსი და არ შეუძლია შეიქმნეს საგნად ტრფობისა. ეს «ცივის წყლის გადასხმა“ ყოვლად მიუცილებელი ხდება, როცა ზეცაში მონავარდე აღგზნებულ გრძნობას უეცრად დედამიწაზე დაანარცხებ და შიგ შუა გულ ლაფში ჰკრავ ხელსა. ეს მშვენიერად და საუცხოვოდ აღუნიშნავს ავტორს. ხოლო აქვე იხილვება მისი წმინდა წარმოდგენა სიყვარულზე. მისთვის გრძნობა სიყვარულისა საიდუმლოებით მოცულია, ღრმად და უძირო-მორევი გრძნობისა და ვნებისა—მისთვის ის ისეთი რამ არის, რასაც უკვდავების ბეჭედი ასვია და მომაკვდავთათვის რაღაც მიუწდომელია. თუ ვისმე საბედნიეროდ ეწვევა ეგრეთი გრძნობა, იგი ამ გრძნობის პირუტყვულ და ფატალურ მხარეს ჩრდილოში აყენებს, უკანა პლანზე, სცდილობს დაივიწყოს იგი, რადგან მიაჩნია რაღაც მეტად გარკვეულ, მეტად ცხად, მეტად ტლანქ გრძნობად, გრძნობად, რომელსაც მეტად მალი დასასრული აქვს, რომელიც მეტად სწრაფ-მავალია. იგი სცდილობს უკვდავად დაუსრულებელ იდეალურ ოცნებაში გაერთოს, იმის წმინდა და უმწიკვლო ჰაერში ინავარდოს და ვაი იმას, ვინც მოუშლის ამას, ვაი იმას, ვინც ფრთებს შეაკვეცს მის წმინდა გრძნობას. მას სისხლი უჩერდება ძარღვში, ტვინი სიბრაზით უხურს და გული ქვად, ლოდად ექცევა. ასეთია მეტად საინტერესო შანაარსი ბ. არაგვისპირელის მოთხრობისა.

შეიძლება, ჩვეულებრივად, ავტორმა სატირიული სურათი მოგვცა იმისი, რომ ყოველივე ჩვენი ცდა, ლტოლვა და ფიქრი „უკვდავ გრძნობის“ შესახებ ფუჭია და უნიადაგოა. ყოველი ქალი «მაროა» და ყველა მარტო პირუტყვობის გამომსახველიაო. ეს გრძნობა და ფიქრი, მისი სურვილი და ოცნება ხომ ყოველ ეჭვს გარეშე დააყენა, მეტად თვალ-საჩინოდ გახადა. მისთვის მარო აღარ არსებობდა არა თუ, როგორც სატრფიალო, სათაყვანებელი საგანი, არამედ აღარც როგორც უბრალო გრძნობების აღმძვრელი კეკლუცი ქალი—იგი მისთვის საზიზღარი შეიქმნა იმიტომ, რომ მის თვალებს პირუტყვი არ მოშორებია, და იმიტომ, რომ ის პირუტყვი, რომელიც ყველა ცოცხალ ადამიანში დაბუდებულია, მაგრამ მიმალულია, ის პირუტყვი, რომლის სამეფო კაცისთვის თითქმის გამოურკვეველია, ამ ქალმა გარედ გამოიყვანა და მეტად აშკარად გამოაფინა. ეს მაღალი გრძნობა ხომ ყოფილა კაცში ჩამარხული, ეს ლტოლვა ხომ ახლავს არსებას—ესეც კარგია. თუ დღეს იგი იშვიათად შოულობს კმაყოფილებას, იქნება ხვალ მაინც მეტი სიამოვნება მოიპოვოს და თუ ეგეც არ იქნება, ისიც საკმარისია, რომ კაცს, „პირუტყვულ გულის თქმას“ გარდა, აქვს რაიმე იდეალური და წმინდა მისწრაფება და გრძნობა.

კატა აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

ამოიღონ. და რაში ჰშურთ ხალხის ჯიბე. ნათქვამია: ვისი ტყე, ვისი ხარჯა, ვისთვის რა საშურველიაო!

ავსტრ-უნგრეთი. ჩვენ ვიცით, რომ ავსტრიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, პარლამენტი ეროვნულ საქმეებზე რაც შეიძლება ნაკლებ ალაპარაკოს და სხვა ეკონომიური საქმეების განხილვით გაართოს. ჩეხურ გაზ. «ლიდ. ლისტ»-ში ერთი მლადოჩეხი დეპუტატი წერს: «თუ მთავრობა ამას იქითაც ეროვნულ საქმეებს ყურადღებას არ მიაქცევს, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ხელ-ახლა ბრძოლა დავიწყოთ მთავრობასთან. ჩვენ მუდამ ოპოზიციაში ვიქმნებით და რადგან უნგრეთთან შეთანხმების თაობაზე ლაპარაკი იქნება პარლამენტში, მედგარ იერიშს მივიტანთ მთავრობაზე, და იქნება გავიმარჯვოთ კიდეც. თუ ამ ხერხმაც არ გასჭრა, მაშინ ისევ ობსტრუქციას გავმართავთ.

საფრანგეთი. პარიზიდან იწერებიან: ბენედიქტელი ბერების კრებულმა გადასწყვიტა, ახალ კანონს ნუ დავემორჩილებითო, ნებართვას ნუ ვითხოვთ და საფრანგეთიდან გადავსახლდეთო.

ბენედიქტელები უკვე ემზადებიან გადასასახლებლად; ენკენისთვის დამდეგს 135 ბერი მიატოვებს საფრანგეთსაო.

ჩინეთი. «ჰავასის სააგენტოს» სწერენ ტიანძინიდან: შეერთებული შტატების ელჩმა შეატყობინა თავის მთავრობას: გერმანელებმა ტიანძინის უნივერსიტეტი დაიჭირეს და, როგორც სჩანს, თავის განებებასაც აღარ აპირებენო. არც მიდიან და არც შენობის ქირას იძლევიანო. პროფესორებს და სტუდენტებს სწავლის დაწყება სწადიანთ, მაგრამ გერმანელების ჯარი არა სცლის უნივერსიტეტსაო.

კარი გაადეთ, განათლება უნდა შემოვიტანოთო, შეუთვალეს ევროპიელებმა ჩინელებს. თუ თავს გაგვანებებთ, თქვენი განათლება არ გვინდაო, უპასუხეს ჩინელებმა. ეხლა სჩანს, ჩინელები მართლები ყოფილან. სადა უნივერსიტეტი ჰქონიათ სწავლად ჩინელებს, ისიც ჯარებით გაუვსიათ და ყაზარმად გადაუქცევიათ ევროპიელებს.

სამხრეთ აფრიკა. «დეილი ტელეგრაფ»-ის კორესპონდენტი იწერება: ბურების სარდლები იმუქრებიან, ვინც კი გაჰბედავს და კიტჩენერის ახალ პროკლამაციას მიგვიტანს, უსათუოდ სიკვდილით დავსჯითო. ლეიტენანტმა ეკანსმა თეთრი ბაირაღი დაიჭირა ხელში და ეს პროკლამაცია ბურების სარდალს მალანს წაუღო. სარდალმა თურმე ზრდილობიანად მიიღო ეკანსი, მით მაინც ფურგონი, ცხენები და ჯორები წაართვა და ეკანსი და იმისი ამხანაგები ქვეითად გაისტუმრა შინისკენ.

ლეიტენანტმა პორტერმა ბურების სარდალ ჰერცოგს წაუღო პროკლამაცია. ჰერცოგს უფრო ცუდი დღე დაუყენებია მიმტანისათვის: ყველაფერი წაერთმია, მუნდირიც კი გახადა. ბურებს ამ პროკლამაციის ხსენებაც კი ეჯავრებათ თურმე.

✡ სხვა სახელმწიფოების კონსულებსაც ყურადღება მიუქცევიათ «სამხედრო ბანაკებისათვის», გამოუკვლევიათ, რა სადგომებში და საზრდელ ყოფაში არიან თურმე იქ ბურების დედაკაცები და ბავშვები. კონსულებს რაც უნახავთ, ყველაფერი აუწერიათ. კონსულები სწერენ, არ თქმულა და გაგონილა, რამდენი ხალხიც ამ ბანაკებში სწყდებაო. შედარებით აქ 14-ჯერ მეტი ხალხი სწყდება, ვიდრე, მაგალითად, პრეტორიაში. ბავშვები ხომ უფრო ძლიერ სწყდებიანო. კონსულები ჰფიქრობენ, რომ ამის მიზეზი შემდეგია: რადგა ძალიან მოჭყვანდათ ამ ბანაკებში, გზაში დიდი მწუხარება და გაჭირვება გამოუვლიათ. საჭმელი უვარგისი და თანაც ცოტა ეძლევათ; სიცივესა და სიცხესაც ორივეს ერთნაირად შეუწუხებიათ; ტანისამოსი აკლიათ; ექიმები სულ არ ჰყავთ.

წელიწადი გადის სულ ამ ბანაკებზეა ლაპარაკი. ქ-ნ ჰობჰოუზს თითონ ინგლისის მთავრობა დაჰპირდა, ამას იქით ყურადღებას მივაქცევთ და ვეცდებით, ბანაკებში შეკრებილი ხალხის საზრდელი ყოფა შევამსუბუქოთო; ერთ დროს ხმაც კი გაავრცელეს, ბანაკები სულაც გაუქმდებაო, მაგრამ სულ ტყუილი გამოდგა.

თუ პირველი განათლებული კაცთ-მოყვარე ერი ასე იქცევა, გაუნათლებელი ქვეყანა,—ოსმალეთი—როგორ-ღა გაგვიმტყუნოთ?

ოსმალეთი. გაზეთი «პრო არმენია»—პარიზში გამოდის—შემდეგ ამბებს მოგვითხრობს: მუშს ახლო ყაჩაღთა ბრბოები ჯარის კაცების დახმარებით სომხებსა ჰსცარცვენ და ჰხოცვენო; მთელი სოფლები გაანადგურეს; ხალხი მთაში იხიზნება. ვანიდან ქურთები და ჯარის კაცები მოვიდნენ და სასუნის სიმაღლეები დაიჭირეს. სასუნში მრავალი ყაზარმის აშენებას აპირებენ. ხალხი შეშინებულია, ყაზარმების აშენებაში არ ეხმარება. ჯერ კიდევ წარსულ თებერვალში ამ გაზეთის კორესპონდენტი იწერებოდა: ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვთ სასუნის სომხები აქეთ-იქით გაჰფანტოსო. სომხებს კონსულებისათვის მიუმართავთ და დახმარება უთხოვნიათ.

დანია. დანიას ძლივს ეღირსა ლიბერალური სამინისტრო. ხალხს ისე გაჰხარებია ეს ამბავი, რომ მეფეს დიდ სამადლობელ მანიფესტაციის გამართვას უპირებენ. მანიფესტაცია ალბად მაშინ მოხდება, როცა მეფე საზაფხულო სასახლიდან კოპენჰაგენში დაბრუნდება. ამ დღესასწაულში დანიის ყოველ კუთხის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობასა. მეფეს იმიტომ უმართვენ ამ მანიფესტაციას, რომ ხალხის უმეტესობის სურვილი შეასრულა და ლიბერალები დააყენა მინისტრადაო.

ახალი ამბავი

◆ „კავკაზს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი უკვე წამოვიდა პეტერბურგიდან და 23 აგვისტოს ტფილისში დაბრუნდებაო.

◆ ხვალ, 20 აგვისტოს, ტფილისში დაბრუნდება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. ზავადსკი.

◆ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ფინანსთა მინისტრს ჯერ-ჯერობით შემდეგი ოთხი პირი აღუნიშნავს კანდიდატებათ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე: სტ. სოვ. თავ. პ. მ. მამატოვი, ერევნის ვიცე-გუბერნატორი თავ. მ. ა. ნაკაშიძე, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე თავ. პ. ა. თუმანიშვილი და ტფილისის სამეურნეო ბანკის დირექტორი თავ. ვ. ს. მიქელაძე.

◆ ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება **ლიხაურის** (ოზურგეთის მაზრა) შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა.

◆ ამ დღეებში სენატმა განმარტა ერთი საგანი, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოის გლეხთა ცხოვრებაში: საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საგლეხო კანონთა ძალით მებატონეს ნება აქვს ჩამოართვას გლეხს სანადელოდ მიცემული ვენახი, თუ იგი წამხდარია გლეხისაგან მოუვლელობის მიზეზით. დასავლეთ საქართველოში, როგორც ვიცით, ფილოქსერაა გავრცელებული და ვენახები ფუჭდება. ზოგიერთ მებატონეთ ისარგებლეს ამ შემთხვევით და გლეხებზედ საჩივარი განაცხადეს სათანადო დაწესებულებაში (ადგილობრივ მომრიგებელ-შუამავალთან) და თხოულობდნენ გლეხებს ჩამორთმეოდათ ვენახი და მებატონეებისთვის მიეკუთვნებინათ ეხლა სენატმა განმარტა, რომ, თუ გლეხი წარმოადგენს მთავრობის აგრონომის მოწმობას, რომ წამხდარი ვენახი იმ ადგილებშია, რომლებიც ფილოქსერით დაზარალებულად ცნობილია, მაშინ ეს ვენახი აღარ ჩამოერთმევა გლეხს, რადგან მისი გაფუჭება გლეხის ბრალი კი არ არის, მისგან დამოუკიდებელის,—ფილოქსერასი ეს მეტად დიდ მნიშვნელოვანი განმარტებაა იმ მხრითაც, რომ მებატონეები ხშირად თხოულობდნენ, რა კი ვენახი აღარ ვარგობს ამა თუ იმ ადგილზედ, ჩვენ მაშინ სახნავ-სათესად აღარ დავუტოვებთ და ისევ ჩვენ ჩავაბარეთ საკუთრადო.

◆ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარმა დეპეშა გაუგზავნა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, რომ გამოფენის გახსნის ვადა გადაიდვა 2 სექტემბრისათვისო.

◆ გუშინ ტფილისის ტრამვაის ყველა ვაგონები ვერ მუშაობდა. ხელშეკრულობის ძალით, უნდა მუშაობდეს დღეში 52 ვაგონი; ტრამვაის საზოგადოების ადმინისტრაციამ-კი გამოუშვა პარკიდან—და ისიც დაგვიანებით—მხოლოდ 46 ვაგონი.

◆ ტფილ. ქალაქის ვექილის თანაშემწემ ქანანოვმა ტფილ. მე-3-მე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში 42 საჩივარი შეიტანა ქანანოვი სთხოვს სასამართლოს, ვინც ნამაღადევში ქალაქის მამული დაიჭირა, იჯარა გადაახდევინოს და ამასთანავე დაადგინოს, რომ ეს დაჭერილი მამულები ქალაქის კუთვნილებას შეადგენსო.

◆ გორის სამოსწავლო ინსტიტუტის დირექტორი, ბ. სლავინსკი, როგორც გავიგეთ, სხვა თანამდებობაზე გადაჰყავთ.

◆ სპეციალისტების განსაკუთრებული კომისია შეუდგა კახეთის გზა-ტკეცილის დათვალიერებას. კომისიის საგანია გამოიკვლიოს, რამდენად დიდი რემონტი სჭირია ამ გზას.

◆ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ, თანახმად სენატის დადგენილებისა, შეიმუშავა პროექტი ტფილისის სახელოსნო გამგეობის რეფორმის შესახებ.

◆ **სიონის საკათედრო ტაძრის** წინამძღვარს თხოვნა შეუტანია ტფ. საქალაქო გამგეობაში დახმარების აღმოჩენის შესახებ. თხოვნაში ნათქვამია, რომ ტაძარს შემოსავალი მცირე აქვს და გამგეთ საშუალება აკლიათ იზრუნონ ეკლესიის გამშვენიერება-შეკეთებისათვისო; თხოვნა უჩვენებს გამგეობას, რომ საქალაქო დებულება ქალაქის მოვალეობად სთვლის ეკლესიისათვის ზრუნვასა და დახმარებას და ჩამოსთვლის ქალაქის თვითმართველობათ, რომელნიც ეწევიან ტაძრებს. დასასრულ მთხოვნელი აღნიშნავს რა, რომ სიონის ტაძარი მოუწყობელია მომავალ საიუბილეო დღესასწაულისათვის, შუამდგომლობს ეხლავ 500 მანათის შეწირვის გადადებას და შემდეგ ყოველ წელს 1500 მანათის გადადებას მომღერალ გუნდის ჯილდოსათვის.

◆ ხვალ, 20 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს წესი, თუ როგორს მონაწილეობას მიიღებს ქალაქი საიუბილეო დღესასწაულში.

◆ კავკასიის სამთო მმართველობის უფროსი ბ. შოსტაკი ბაქოში წავიდა სანავთო ქარხნების დასათვალიერებლად და აგრეთვე სანავთო ადგილების იჯარის შესახებ ზოგიერთ საკითხების გადასაწყვეტად.

◆ სოფლის ექიმი მამაჯანოვი გაიგზავნა ბელი კლიუჩში და ახლო-მახლო სოფლებში, სადაც, ადგილობრივ ადმინისტრაციის ცნობებით, მუცლადა მძვინვარებს.

◆ 16 აგვისტოს, ტფილისის საბალოსნო სკოლის სადგომში სხდომა ჰქონდა კავკასიის გამოფენის გამმართველ უმთავრესს კომიტეტს. განხილულ იქმნენ გამგე-კომიტეტის ის დადგენილებანი, რომელნიც აღნიშნული გვქონდა ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში. უმთავრესმა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა შეწყნარებულ იქმნეს გამგე-კომიტეტისაგან შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა გამოფენის უმთავრეს პავილიონში განყოფილებების გასამართავად და დაადგინა გადაიდოს დამატებით 300 მან. ტფილისის საბალოსნო სკოლის ეზოს გარშემო კედლის შესაკეთებლად.

◆ გამოფენის კომისიას ამ დღეებში ექსპონატები მოუვიდა ბათუმიდან—ბეთანოვისაგან, ბორჯომიდან—სოგომონოვისაგან, კავკავიდან—კოზლოვსკისაგან, ქუთაისის ნორმალურ სასწავლებლებისაგან, ტფილისის გუბერნიის საბალოსნო სკოლისაგან, სოფ. ვორონცოვის სახელოსნო სასწავლებლისაგან და მრავალი სხვათაგან.

◆ 17 აგვისტოს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის ვაჭრის მიხეილ ყაზაროვისა, რომელსაც ბრალად ედებოდა, რომ შეურაცხება მიაყენა ტფილისის მეორე მომრიგებელ სასამართლოს გამომძიებელს ნ. ხიზანაშვილს ამ სიტყვებით „მე შენ მოგკლავ, მე შენ გიჩვენებო“ და აგრეთვე პოლიციის ბოქაულის თანაშემწე ტატიშვილთან მან ხიზანაშვილს „მექრთამე“ დაუძახა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყაზაროვი და გარდაუწყვიტა 2 თვის ვადით დაპატიმრება საპყრობილეში.

◆ ტფილ. პოლ. მე-3-ე ნაწილის ბოქაულმა სთხოვა გამგეობას: მე-3-მე ნაწილში ბევრი დამველებული სახლია, ამიტომ საჭიროა ქალაქის ტეხნიკმა გასინჯოს ეს სახლებიო. მათ შორის საპიორთა ქუჩაზე ბ. ხელაძის სახლსაც უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც ამ სახლში ერთი კედელი გახეთქილიაო.

◆ როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის სოფ. მერეთში გაჩენილა **საქონლის ჭირი.** ამ ავადმყოფობით მრავალი საქონელი იხოცება თურმე. ადგილობრივ ზომებია მიღებული საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

◆ სენატმა ახსნა, რომ განქორწინების დროს შვილები უნდა დარჩეს თავისს მამის ოჯახში, ხოლო მათი დედის მეორე ქმრის მოწმობაში ვერ ჩაიწერებიან მამის ნების დაურთველად.

◆ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მკვდარ ენების მასწავლებელთ დაავალოს ახალი ენების სწავლება, როდესაც განხორციელებული იქნება მომავალი რეფორმა საშუალო სასწავლებლებში. ახალ ენების სწავლება-გაწრთვნისათვის ხსენებული მასწავლებლები საზღვარ-გარედ გაიგზავნებიან.

◆ გზათა მინისტრმა რკინის გზის ზამთრის მიმოსვლის წესი დაამტკიცა. ეს წესი იქნება შემოღებული 15 ოქტომბერს.

◆ ტფილისის მესამე დედათ გიმნაზიაში ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოდან 25-მდე, ხოლო მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ თუ მაღალ კლასებში მოხდება 27, 28 და 30 აგვისტოს. სწავლა 1 სექტემბერს დაიწყება.

◆ ტფილისის პირველ საქალაქო სასწავლებელში დამატებითი ეგზამენები დაიწყება 27-სა, ხოლო განმეორებით—28 და 31 აგვისტოს.

◆ **სადამოჟნო უწყებას** გადაუწყვეტია შეიძინოს ის შენობა, რომელშიაც მოთავსებულია ტფ. სადამოჟნო დაწესებულება და რომელიც ა. ი. მანთაშევს ეკუთვნის. სახლის პატრონი და სადამოჟნო უწყება ვერ შეთანხმებულან შენობის ფასში; ამიტომ ხსენებულ უწყებას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ შენობა ჩამოერთვას პატრონს და გადაეცეს ხაზინას; ფასად კი ის მისცეს, რაც სადამოჟნო უწყებამ შეაძლია მანთაშოვს. შენობა სახაზინო მიწაზეა აგებული.

◆ ბ. პონომარევს—ტფილ. პოლიციის მე 8 ნაწილში აქვს სახლი—ქალაქის გამგეობისათვის გამოუცხადებია: სენატის დადგენილების ძალით, დიდი მდინარეების რიყე მეზობელ სახლის პატრონებს ეკუთვნისო. ამიტომ ჩემი სახლის გასადევარი მტკვრის რიყეც მე მეკუთვნის და ქალაქს ნება არა აქვს ჩემ დაუკითხავად იქიდან ქვა და ქვიშა წაიღოსო. ამას იქით ქალაქს იჯარს გამოვართმევ ამ ქვა-ქვიშაშიო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის 17 აგვისტოს სხდომაზედ ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა განსახილველად მდინარეში დახრჩობისაგან განმათავისუფლებელ საზოგადოების გამგეობის მიერ მოწერილი ქაღალდი მტკვარზე საბანაოების გამართვის შესახებ. გამგეობამ დაადგინა დაევალოს ქალაქის ინჟენერს აღნიშნულ საზოგადოებასთან ერთად შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე გა-

სინჯოს ადგილები, თუ სად იქმნება უმჯობესი ამგვარი აბანოები გაიმართოს.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა განკარგულება მოახდინა, რომ ალექსანდრეს ბაღი ღამის 11 საათამდე არ იკეტებოდეს, რათა ხალხს შეძლება ჰქონდეს იქ სეირნობისა. მოურავმა საჭიროდ სცნო აგრეთვე ბაღის უფრო გასანათებლად გააკეთონ კიდევ ახალი საუკეთესო სისტემის ფარნები და საღამოობით გამართონ ხოლმე თამაში ხალხის გასართობად.

◆ რედაქციამ მიიღო **ი. ევდოშვილის** ლექსთა და პოემების კრებული, გამოცემული მეორედ გ. წ—ს და ამხანაგობის მიერ. წიგნში ჩართულია ავტორის სურათი. შეიცავს 162 გვერდს და ღირს 50 კ.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ვარშავის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის პროფესსორი დ-რი ნ. ი. მუხინი.

◆ კავკასიის სამრეწველო გამოფენაზე 17 აგვისტოს ორ მუშას, მუშინსკისა და რიაბოვს ჩხუბი მოუვიდათ; რიაბოვმა დანა ამოიღო ჯიბიდან და რამდენჯერმე დასჭრა მუშინსკი. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს და დამჭრელი დაატუსაღეს.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში, ტფილისის პირველ მომრიგებელ სასამართლოს სადგომიდან ვიღაც ბოროტ განზრახველს მოუპარავს ხალიჩა 15 მან. ღირებული. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ვიღაც ზურხამ-ოღლზე, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

პრესსა

„კავკაზსკ. ვესტნიკ.“-ში ვკითხულობთ კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა შემოღების მიუცილებლობის შესახებ. ჟურნალი სრულიად საბუთიანად ამტყუნებს კავკასიის მხარეში სხვა-და-სხვა დაწესებულებათ, რომელიც თითქმის გულ-გრილად ეპყრობა ჩვენში ნაფიც-მსაჯულთა შემოღების საქმეს. მხოლოდ თავად-აზნაურთა კრებები თხოულობენ ხოლმე ამ საგნის შესახებ და ქალაქის თვით-მმართველობა კი გაჩერებულია. მაშინ, როდესაც ქუთაისისა და ტფილისის თავად-აზნაურობამ არა ერთხელ აღძრა შუამდგომლობა ამის შესახებ, ტფილისის, ბათუმის და ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობა გაჩუმებულია. რამდენად სასარგებლოა ჩვენში ამ დაწესებულების შემოღება, იმდენად სავალდებულოა, რომ ყველამ ითხოვოს და ეცადოს ამ საქმის განხორციელება, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობასაც არა ცოტა სარგებლობას მოუტანსო.

⁂

ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა ექიმის გარნოს წერილი კოხთან იმის შესახებ, რომ იგი მზათ არის თავის თავზე გამოსცადოს, რამდენად გადამდებია პირუტყვის ჭლექი კაცზე. ამ წერილის შესახებ შესანიშნავი მეცნიერი ექიმი პარიზში ბრუომდელი შემდეგს ამბობს: ჩემთვის რომ მაგისთანა წინადადება ვისმეს, მე უარს ვიტყოდიო.

> „ყველაზე უწინ ამგვარ გამოცდილებას თავის დღეში არა დაუმტკიცებიარა. მაგალითად, ყველა, კარგად ვიცით, რომ პეტერსმაც ეგრეთი თავგანწირულება გამოიჩინა სამეცნიერო აზრით და დიფტერიტის ბაცილები შეიყვანა პირში, ყელში, სასულეში, მაგრამ დიფტერიტი მაინც არ დაემართა. ნუ თუ აქედამ ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა, რომ დიფტერიტი გადამდები არ არის? რასაკვირველია, არა. პეტერსს არ გადაედვა დიფტერიტი იმიტომ, რომ მისი ორგანიზმი არ იყო დიფტერიტის ბაცილების შესათვისებლად განწყობილი. რაიცა შეეხება ჭლექს, შესაძლოა კოხი ზოგიერთში მართალი იყოს: შესაძლოა პირუტყვისგან შეძენილი წმინდა ბაცილები ჭლექისა არ იყოს გადამდები და ექ. გარნოც უვნებელი დარჩეს, მაგრამ, როცა ამ ბაცილებს მიემატება ხოლმე მიკრობები, რომელიც იმყოფება რძეში, კარაქში და ხორცში, მაშინ ეს ბაცილები მეტად საშიშარია და ადვილად გადამდებია. შესაძლოა ამიტომ გარნოს არა დაუშავდეს რა, მაგრამ ეს სრულიადაც არ დაამტკიცებს იმას, რომ პირუტყვის ჭლექი გადამდები არ არის. პასტერს არა ერთხელ უთქვამს, რომ თუ ასს გამოცდილებაში, რომელიც რომელისამე მოვლენის შესახებ „არას“ ამბობს, ერთი რომ შემხვდეს ისეთი, რომელიც ამავე მოვლენის შესახებ „ჰოს“ იტყვის, სწორედ ამ ერთს აღვნიშნავდი, რადგანაც სწორედ იმას შეუძლია სწორი შეხედულება მოგვცეს ამა თუ იმ მოვლენაზედაო“.

წერილი თელავიდან

თიბათვის თოთხმეტიდან აგვისტოს თორმეტამდე, ე. ი. ორ თვეზე ცოტა ნაკლებ დროს თელავში გამართული იყო ოთხი საბავშვო დილა, ორი კონცერტი და ხუთი წარმოდგენა, ზოგი რუსულად, ზოგი ქართულად და ზოგიც სომხურად. არ ვათვლით საცეკვაო საღამოებს, რომელთა რიცხვი აუარებელი იყო. მაშასადამე ამ თითქმის ორ თვეში დიდებისა და პატარებისათვის თერთმეტი გასართობა იყო გამართული. მარტო რიცხვი გასართობებისა ცხადი მოწამეა, რომ თელავის საზოგადოება ისე გულჩათხრობილი და დალონებული არ არის, როგორც შორიდან მოსულებს ჰგონიათ ხოლმე.

ჩვენი სახელოვანი მსახიობი ბ. ვ. ალექსი-მესხიშვილის თანა-მონაწილეობით გამართული იყო ოთხი წარმოდგენა. უკანასკნელად—12 აგვისტოს—წარმოდგენილი იყო დრამა „ცხოვრების მეჯლიშზე“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბ. აწყურელი და ბ. გამყრელიძე. თუმცა სათეატრო დარბაზი თვისი პაწაწინა სცენით და მოწყობილობით ხელის შემშლელია ამისთანა დრამების წარმოდგენისათვის, მაგრამ ყველა ეს სძლია დიდმა ნიჭმა ბ. მესხიშვილისამ, ზომიერებამ აწყურელისამ, მქუხარე ხმამ გამყრელიძისამ და შერჩეულმა როლების განაწილებამ სცენის მოყვარულთა შორის. დიახ, ყველა ეს ერთად აღებული მიზეზი იყო, რომ დრამამ ისე მწყობრად ჩაიარა.

11 აგვისტოს იმავე დარბაზში გამართული იყო მოყვარულთაგან წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო ერთი კომედია და სამი ვოდევილი: „200,000“, «ველური», „დატრიალდა ჯარა“ და „ცოლქმრობის წინააღმდეგი“. პირველი ორი იყო წარმოდგენილი სომხურად, ორი უკანასკნელი ქართულად. შესანიშნავია, რომ მოყვარულნი იყვნენ მარტო სომეხნი, არც ერთი ქართველი არ ერია და ქართულმა წარმოდგენამ მშვენივრად და მწყობრად ჩაიარა.

„ველური“ კომ. 1 მოქ. თხ. ტერ-გრიგორიანისა, არის ბიოგრაფია გამდიდრებული სომეხისა. თუმცა მოქმედება სრულდება პეტერბურგში, მაგრამ უფრო შესაფერი იქმნებოდა სამოქმედო ასპარეზად ტფილისი იყოს დასახელებული.

„ექიმი შტოკმანი ანუ მტერი ხალხისა“ დრამა 5 მოქ. თხ. გენრიხ იბსენისა გადაუთარგმნია მოსკოვში ქ. ბარბარე ტყავაძისას, რომელიც ამ ზაფხულს დაბრუნებულა კახეთში და აპირებს დრამატიული საზოგადოების კომიტეტს წარუდგინოს. თარგმანი არის მშვენიერი ქართული ენით, რაც მეტად იშვიათია. იმედია, მომავალ სეზონში ქართულ სცენაზედ არა ერთხელ იქმნება წარმოდგენილი ეს დრამა, რომლითაც წარსულ სეზონის განმავლობაში მოსკოვი დღეგამოშვებით სტკბებოდა და მუდამ წარმოდგენის ერთი კვირის წინ ბილეთები აღარ იშოვებოდა.

—

13 აგვისტოს თელავს მოვიდა დ. არაყიშვილი ფონოგრაფით; უნდა შეკრიბოს კახური სიმღერები. მას ქიზიყში და ქართლში ფონოგრაფით 40-მდის სიმღერა შეუკრებია, აქაც შეჰკრებს. მერე შეუდგება შეკრებილი სიმღერების გამოკვლევას. დიდად სასიამოვნოა, რომ მეცნიერული მხრით ჩვენი სიმღერების გამოკვლევა იწყება. აქნობამდის აზრად ჰქონდათ ხოლმე სიმღერების შენახვა, ახლა მეცნიერული კვლევა ემატება,—ეს კი დიდი რამ არის.

ნადიკვრელი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 აგვისტო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა: 1) 1902 წლის 1 იანვრიდამ შავი ზღვის ფლოტის დივიზიას მიუმატონ მეათე ფლოტის ეკიპაჟი და სახელად დაერქვას 37 ნომერი. 2) იმავე დროიდამ და იმავე წესით, როგორც ციმბირის ფლოტის ეკიპაჟია, დაარსდეს პორტ-არტურში ცალკე ფლოტის ეკიპაჟი და დაერქვას სახელად კვანტუნის ფლოტის ეკიპაჟი.

ფინანსთა მინისტრმა ცირკულიარი გაოსცა სააქციზო გადასახადისა და სახაზინო პალატების გამგეთა სახელობაზედ თამბაქოს გადასახადის წესდებაში ზოგიერთ ადგილების შეცვლის შესახებ.

მინისტრთა კომიტეტის საქმეთა და ციმბირის გზის კომიტეტის გამგე სტატს-სეკრეტარი კულომზინი პეტერბურგიდამ მიდის და თავისი თანამდებობა თავისს თანაშემწეს ტაინი-სოვეტნიკს ბრიანჩანინოვს გადასცა.

მადრიდი. გარეშე საქმეთა მინისტრი ამტკიცებს, რომ რუსის ელჩის სან-სებასტიანოში წასვლას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს.

ტრომსე. დღეს მოვიდა აქ გემი „ფრიტიოფი“, რომელიც ბალდვინის ექსპედიციას ახლდა. „ფრიტიოფი“ გოფერის და ფილზეკის ადგილებში ყოფილა, სადაც სახლი აუგიათ. 14 ივლისს „ფრიტიოფი“ ფრანც-იოსების მიწასთან მისულა; გემი „ამერიკა“ კი მხოლოდ 5 აგვისტოს მოსულა აქ, რადგანაც ეს გემი ძალიან შორს ასცდენია გზას დასავლეთისაკენ და ავდარი და ქარიშხალი აუტანია. ყინულის შიში არ არის. 6 კაცი და ყველა ძაღლები გოფერში დარჩნენ. „ამერიკა“ კი რაც შეიძლება ჩრდილოეთისაკენ წავა და იქ საღგურს გამართავს, მერე გოფერიდან ძაღლებს წაიყვანს. 6 ძაღლი მოუკვდათ, სხვაფრივ შვიდობაა. ჩრდილოეთისაკენ ყინული არა სჩანს. „ფრიტიოფი“ გოფერიდამ გავიდა 10 აგვისტოს, ფლორადამ კი 11 აგვისტოს. „ამერიკა“ გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ.

რეიკიავიკი. ალპინგის (პალატას) სესია დღეს გათავდა. ზემო პალატამ მიიღო მეფის მისართმევი ადრესსი და თან სურვილიც გამოაცხადა, რომ დაუყონებლივ დანიშნულ იქმნეს ცალკე მინისტრი ირლანდიისათვის.

პეტერბურგის ბირჟა 17 აგვისტოს.

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში		94.00
ბერლინზე 100 მარკაში		46,02½
პარიზზე 100 ფრანკში		—
ლონდონზე ჩეკები		94,60
ბერლინზე „		46,30
პარიზზე „		37,52½
ბირჟის დისკონტი		5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.	
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	451 გაყიდ.	
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	349½ მყიდვ.	
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	240 გაყიდ.	
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	90¼ „	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	90⅜ „	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5 %გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	90 გაყ.	

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: სათოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) სათოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

მე-XIII პერიოდი ბუღალტერიაში მაცადინეობისა.

ნ. ვ. აბრამიანი,

„სავაჭრო და საფაბრიკო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, პრაქტიკულის ვარჯიშობით **ასწავლის ბუღალტერიას** ორივე სქესის პირთ **ოთხის** თვის განმავლობაში, თავდებობით და, თუ საჭირო იქმნება, რეკომენდაციითაც. **ასწავლის** შემდეგ საგნებს:

1) იტალიური ბუღალტერია მრეწველობის ყოველგვარ დარგისა, მათ შორის ნავთის წარმოებისაც და კეროსინის მრეწველობისაც.
2) კომმერციული არითმეტიკა.
3) კომერციული კორრესპონდენცია.
4) ვაჭრობისა და ვექსილის წესდება.
5) სუფთა-წერა, კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება.

სწავლა დაიწყება 1901 წ. 15 ენკენისთვიდან, ნასადილევს, პერიოდულად ყოველ ოთხ-თვის შემდეგ.

მსურველთ ვთხოვ მომმართონ წერილით ან პირადად: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 48, ყოველ-დღე, საღამოს 4 საათიდან 6-მდე.

ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება 3 მანათად და 50 კაპ. ტფილისში და აგრეთვე რუსეთის წიგნების ცნობილ მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორიდან გამოიწერს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის.

ბუღალტერიის კურსის შესწავლის ფასი 60 მანათი. (10—4)

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

გერის მოედანზე, ყაფანთან.

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

პანსიონი

და მოსამზადებელი სკოლა

გ. ი. ტომასისა

ელისაბედის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 95/18. იღებენ ორივე სქესის ბავშვებს. სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. (5—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.